ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.10.2014

საჩივრის რეგისტრაციის №084/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ.–ის მიმართ, /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ.–თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. მ.–მ და მოითხოვა ადვოკატ თ. მ.–თვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი თ. მ.–ე იყო რ. კ.–ის მიერ წარმოდგენილი ადვოკატი, რომლის თანდასწრებითაც გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება მასსა და რ. კ.–ს შორის. ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, საჩივრის ავტორმა წინასწარ მიიღო 21 000 აშშ დოლარი რ. კ.–საგან 3 თვის ქირის სახით სასტუმროსა და დისკო-ბარის მიქირავებისათვის, რომელიც გადაუხადეს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი - 12 000 აშშ

დოლარი ადვოკატის თანდასწრებით, ხოლო 8 000 აშშ დოლარი დამქირავებელმა მას გადასცა საცხოვრებელ სახლში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ თ. მ.–ის თანდასწრებით შედგა ორი დოკუმენტი: ერთი მათგანი წარმოადგენდა ქირავნობის ხელშეკრულებას, მეორე კი იყო სესხის ხელწერილი, რომელიც მოტყუებით დააწერინეს ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ორივე დოკუმენტი საიმედოდ შენახვის მიზნით შეინახა ადვოკატმა თ. მ.–მ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, სესხის ხელწერილი იმ მიზნით დაიდო, რომ დაცული ყოფილიყო დამქირავებლის ინტერესები და თუკი იგი ვერ ისარგებლებდა დაქირავებული ფართით, შეძლებოდა თანხის უკან დაბრუნება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი ხელწერილის შედგენას იმ მიზნით დათანხმდა, რომ ასაღები ჰქონდა თანხის ნაწილი - 8 000 აშშ დოლარი და დამქირავებელი მხოლოდ ამ პირობით იყო თანახმა თანხის გადახდაზე.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი ენდო ადვოკატ თ. მ.–ის ავტორიტეტსა და პროფესიონალიზმს და ამიტომაც დათანხმდა ასეთი ტიპის ხელშეკრულებისა და ხელწერილის შედგენას.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა საბოლოოდ ქირავნობის ხელშეკრულება აღარ გამოუჩინა და სესხის ხელწერილის თანახმად 10 000 აშშ დოლარი სასამართლოს ძალითა და შანტაჟით გადააცემინა დამქირავებელ რ. კ.–სათვის, რითაც, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმაც მიიღო სარგებელი.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ საქმეში ჩაერთვნენ ადვოკატები: პ. ბ. და ადვოკატი ზ. გ., რომელთაც მას წინასწარ დაუყადაღეს მთელი მისი კუთვნილი უძრავი ქონება და ავტომობილი, რის გამოც იგი იძულებული გახდა ქონების გასათავისუფლებლად დათანხმებოდა მიღებული თანხის ნახევრის უკან დაბრუნებას.

1.10 2014 წლის 05 დეკემბერს შედგა საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის გასაუბრება, სადაც მან დამატებით განმარტა, რომ 10 000 აშშ დოლარი, რომელიც სასამართლოს ძალით მან გადასცა რ. კ.–ს, წარმოადგენდა უსამართლოდ გადახდილ თანხას, რომელიც ადვოკატის უკანონო ქმედების შედეგად დაეკისრა, ვინაიდან ადვოკატმა თ. მ.–მ არ წარმოადგინა ნამდვილი, რეალური ხელშეკრულება, სადაც ჩანს, რომ მხარეებს შორის დადებულია ქირავნობის და არა სესხის ხელშეკრულება.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, 10 000 აშშ დოლარი მან ანგარიშზე გადაურიცხა რ. კ.–ს, რომელსაც აყვანილი ჰყავდა ადვოკატი ზ. გ. მას უკავშირდებოდა თ. მ. და სთხოვდა თანხის გადარიცხვის დაჩქარებას, რადგან ფული სასწრაფოდ სჭირდებოდათ.

1.12 საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მისთვის არ არის ცნობილი მიიღო თუ არა გადარიცხული ფული თ. მ.–მ.

2. მოწმეთა ახსნა-განმარტებები:

2.1 საჩივრის ავტორმა ს. მ.–მ 2014 წლის 29 ოქტომბერს წარმოადგინა მოწმეთა: მ. ა.–ის, გ. ბ.–ის, ბ. მ.–ის, ზ. მ.–ის, მ. მ.–ის, ვ. ლ.–ის, მ. დ.–ის, ზ. დ.–ისა და თ. პ.–ის ნოტარიულად დამოწმებული ახსნა-განმარტებები.

2.2 მ. ა.–ის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტების თანახმად, (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 30 სექტემბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №) ის მუშაობდა თავისი ახლობლის, ს. მ.–ის სასტუმროში ადმინისტრატორად 2013 წლის თებერვლიდან და მისთვის ცნობილი იყო, რომ დამქირავებელმა რ. კ.–მა იქირავა ს. მ.–ის სასტუმრო და დისკო-ბარიც, რისთვისაც დამქირავებელმა წინასწარ გადაუხადა 3 თვის ქირის გადასახადი 21 000 აშშ დოლარის ოდენობით. ასევე, მისთვის ცნობილია, რომ ქირავნობის ხელშეკრულება დაიდო ს. მ.–სა და რ. კა.–ს შორის, რომელიც ადვოკატმა თ. მ.–მ აღარ გამოაჩინა. მოწმე მ. ა.–ის განცხადებით, ამ საქმის მოთავეა ადვოკატი თ. მ., თორემ დამქირავებელი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა საქმის ამგვარად წარმართვას.

2.3 გ. ბ.–ის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტების თანახმად, (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 29 სექტემბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 141065146) იგი არის მსუბუქი ტაქსის მძღოლი და 2013 წლის იანვრიდან მისი დგომის ადგილს წარმოადგენდა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე ს. მ.–ის დისკო-ბარის მიმდებარე ტერიტორია. მასთან მივიდნენ ი. შ. და თურქეთის მოქალაქეები: რ. კ. და კ.. ისინი აპირებდნენ მოლაპარაკების გამართვას დისკო-ბარის მესაკუთრე ს. მი.–სთან დისკო-ბარის იჯარით აღების თაობაზე. გ. ბ.–ის განმარტებით, რ.–მა, ი. შ.–მ და კ.–მა დადეს წერილობითი ხელშეკრულება. მოგვიანებით ბერიძისთვის ცნობილი გახდა, რომ ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარი ინახებოდა რ.–თან. მისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ს.–ს დაადებინეს ხელწერილი, თითქოს 21 000 აშშ დოლარი სესხად მიიღო რ.–საგან. აღნიშნული ხელწერილი, ბ.–ის განმარტებით, მოტყუებით დაადებინეს მ.–ს. ხელწერილის მიზანს წარმოადგენდა 3 თვიანი მუშაობის შემდეგ გადახდილი 21 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება, რაც დამქირავებელმა ნაწილობრივ მოახერხა ადვოკატ თ. მ.–ის ზემოქმედებით.

2.4 ბ. მ.–ის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 17 ოქტომბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №) ს. ბ. არის ბ.–ს მამა, რომელთანაც 2013 წლის იანვარში მივიდნენ: ი. შ. და თურქეთის მოქალაქეები: რ. კ. და კ. და წერილობითი გარიგება გააფორმეს დისკო-ბარის იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით. მ.–ს განმარტებით, აღნიშნული პირები მოიყვანა ტაქსის მძღოლმა, გ. ბ.–მ. მოიჯარეებმა ს. მ.–ს გადაუხადეს 3 თვის იჯარის საფასური 21 000 აშშ დოლარი და დააწერინეს ხელწერილი, თითქოს დაზღვევის მიზნით. თუკი ს. აზრს შეიცვლიდა და ვადამდე მოშლიდა იჯარის ხელშეკრულებას, მათ მიერ გადახდილ თანხას საფრთხე რომ არ შექმნოდა. ბ.–ის განმარტებით, 3 თვის შემდეგ მათ მიერ გადახდილი 21 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება მოითხოვეს. ადვოკატმა თ. მ.–მ განაცხადა, რომ არაფერი იცოდა, თუმცა თავად დააწერინეს ხელშეკრულებაც და ხელწერილიც ჭ.–ს ქუჩაზე არსებულ კაფე-ბარ „ა.–ში“.

2.5 ზ. მ.–ის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 03 ოქტომბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №) მის მეუღლეს, ს. მ.–სა და თურქეთის მოქალაქე რ. კ.–ს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება დისკო-ბარის იჯარით გადაცემის შესახებ, რასაც ესწრებოდა რ.–ს თანმხლები პირი ადვოკატი თ. მ.. მ.–ს განმარტებით, დამქირავებელმა რ. კ.–მ ს. მ.–ს გადაუხადა სამი თვის იჯარის თანხა სულ 21 000 აშშ დოლარის ოდენობით. რ.–მ და ადვოკატმა თ. მ.–მ ს. მ.–ს დააწერინეს ხელწერილი, თითქოს 21 000 აშშ დოლარი სესხად მიიღო ს.–მ რ.–საგან. ხელწერილის დაწერის მიზეზად კი დაასახელეს ს. მ.–ის მიერ ვადის დარღვევის საფრთხე. სამი თვის შემდეგ ეს ხელწერილი უნდა განადგურებულიყო. ს. მ. მოტყუვდა და სამი თვის გასვლის შემდეგ რ.–მ და მისმა ადვოკატმა თ. მ.–მ სადავო გახადეს მის მიერ მიღებული თანხა. მ.–ის განმარტებით, 2013 წლის ივნისის ბოლოს 21 000 აშშ დოლარის ნახევარი „წაართვეს“ რ.–მ და მისმა ადვოკატმა თ. მ.–მ, იძულებული გახადეს თანხა დაებრუნებინა, რადგან დაუყადაღეს მთელი ქონება, საცხოვრებელი ბინა, კომერციული ობიექტი, მსუბუქი ავტომანქანაც საჩივრის ავტორს ქუჩაში ჩამოართვა საპატრულო პოლიციამ, რის შემდეგაც დათანხმდნენ თანხის ნაწილის დაბრუნებას.

2.6 მ. მ.–ის - ს. მ.–ის ქალიშვილის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 17 ოქტომბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №) 2013 წლის 24 იანვარს მათთან მივიდნენ უცხოელი მოქალაქეები: რ. კ., კ. და საქართველოს მოქალაქე ი. შ.. მათთან ერთად იყო ტაქსის მძღოლი გ. ბ., რომელიც ჩერდებოდა დისკო-ბარის წინ და ემსახურებოდა მგზავრებს. ხელშეკრულება გაფორმდა კაფე-ბარ „ა.“-ში და აქვე დააწერინეს საჩივრის ავტორს ხელწერილი 21 000 აშშ დოლარის მიღებზე. ხელწერილი დაიდო იმ მიზნით, რომ თუ ს. მ. ცალმხრივად დაარღვევდა ხელშეკრულებას, შეძლებოდა ფულის უკან დაბრუნება, ხოლო ხელშეკრულების დაურღვევლობის შემთხვევაში 3 თვის შემდეგ უნდა განადგურებულიყო ხელწერილი ადვოკატ თ. მ.–ის მიერ. სამი თვის გასვლის შემდეგ ს. მ.–ს წინასწარ გადახდილი იჯარის თანხა უკან მოსთხოვეს. ს. მ.–მ უარი მიიღო ხელშეკრულების დაბრუნების მოთხოვნაზე, რომელიც ადვოკატ თ. მ.–ს ებარა. მოგვიანებით საჩივრის ავტორს უკან დააბრუნებინეს 21 000 აშშ დოლარის ნახევარი, რათა ქონებისთვის ყადაღა მოეხსნათ. ვ. ლ.–ის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 01 ოქტომბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №) ადვოკატმა თ. მ.–მ 21 000 აშშ დოლარი მოტყუებით გამოსძალა ს. მ.–ს. ვ. ლ.–ის მტკიცებით, ეს ის თანხა იყო, რომელიც თურქეთის მოქალაქემ ს. მ.–ს წინასწარ გადაუხადა 2013 წლის დასაწყისში სასტუმროსა და დისკო-ბარის სამი თვით დაქირავებისთვის. სამი თვის გასვლის შემდეგ, რ.–მ და ადვოკატმა თ. მ.–მ უკან მოსთხოვეს ს. მ.–ს ქირისათვის გადაცემული თანხა. როგორც ვ. ლ. აცხადებს, საქმის შინაარსი მისთვის ცნობილია მისი სამუშაო - ნამცხვრების მაღაზიიდან, რომელიც მდებარეობს აღნიშნული სასტუმროსა და დისკო-ბარის მეზობლად ნამცხვრების მაღაზიაში და ეს ამბავი იცის მთელმა სამეზობლომ. მ. დ.–ის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით, (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 25 სექტმბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №) ირკვევა, რომ დავით აღმაშენებლის ქუჩაზე 2013 წლის იანვარში ფუნქციონირება დაიწყო დისკო-ბარმა, რომელიც

ეკუთვნოდა ს. მ.–ს და აღნიშნული დისკო-ბარი ებარა ინგა შაინიძის ქმარს - კ.–ს. რ.-მა ბარში მოიყვანა სამუშაოდ თავისი ვაჟი, ასევე თავისი მეორე შვილი, რომელიც 16 წლისაა. მ. დ.–ს განმარტებით, რ. კ., კ. და ი. შ. ერთად მივიდნენ ს. მ.–ის დისკო-ბარში სამუშაოდ. მ. დ.–მ ს. მ.–სგან იცოდა, რომ 2013 წლის იანვარში მასსა და რ.–ს შორის დადებული ხელშეკრულება ინახებოდა რ. კ.–ის ადვოკატ თ. მა.–სთან. ასევე, ს. მ.–ს დაწერილი ჰქონდა ხელწერილი, თითქოს კ.–სგან აღებული ფული სესხად მიიღო. აღნიშნული ხელწერილი ს. მ.–ს დააწერინეს იმის გამო, რომ თუკი ს. მ–მ გადაწყვეტდა ხელშეკრულების ვადამდე მოშლას, ეს ხელწერილი გარანტად ექნებოდა, თითქოს აღნიშნული თანხა სესხად ჰქონდა მიღებული, რომ შეძლებოდა უკან დაბრუნება. ახსნა-განმარტების ავტორი ვ. ლ. ადასტურებს, რომ სინამდვილეში ეს თანხა რ. კ.–ს ს. მ.–სათვის გადაცემული ჰქონდა 3 თვის ქირად.

2.7 ზ. დ.–ის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ (დამოწმებულია სანოტარო წესით 2014 წლის 25 სექტემბერს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №) იგი 2013 წლის იანვრიდან თავისი მსუბუქი ავტომობილით ემსახურება მოსახლეობას. საქმესთან დაკავშირებით აცხადებს, რომ რ. არის თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე. იგი ბათუმში ჩავიდა 2013 წლის იანვარში და იჯარით აიღო ს. მ.–ის დისკო-ბარი. მისთვის ასევე ცნობილია, რომ იჯარის 3 თვის თანხა ერთიანად გადაუხდა დისკო-ბარის მეპატრონეს, რაც შეადგენდა 21 000 აშშ დოლარს. მისთვის ასევე ცნობილია ის გარემოებაც, რომ ს. მ.–სა და რ. კ.–ს შორის დადებული ხელშეკრულება ინახებოდა რ.–ის ადვოკატ თ. მ.–სთან. ზ. დ.–სთვის ასევე ცნობილია ის გარემოებაც, რომ 21 000 აშშ დოლართან დაკავშირებით სესხის ხელწერილი დაადებინეს ს. მ.–ს.. ს. მ. სულ შიშობდა ამ ხელწერილის გამო, ჩემს წინააღმდეგ არ გამოიყენონო. მათ მართლაც უჩივლეს და ეს თანხა მთლიანი თუ ნახევარი გამოართვეს. 21 000 აშშ დოლარი, რომელიც ს.–ს მისცა რ.–მ, იყო დისკო-ბარის იჯარის გადასახდელი 3 თვის თანხა, რომელიც წინასწარ გადაუხდა რ.–მ და ადვოკატის ჩაგონებით უჩივლა რ.–მ. თ. მ.–მ კი, რომელსაც ებარა რ.–ს და ს.–ს შორის დადებული ხელშეკრულება აღარ გამოაჩინა, რითაც ფინანსურად აზარალა ს. მ.. ეს ხრიკები წინასწარ გამოგონილი იყო ადვოკატ თ. მ.–ის მიერ.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა თ. მ.–მ, 2014 წლის 11 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ იგი არ ყოფილა არც ს. მ.–ის და არც რ. კ.–ის ადვოკატი და შესაბამისად, არც ისინი იყვნენ მისი, როგორც ადვოკატის, კლიენტები. ადვოკატის განცხადებით, იგი 2014 წლის 09 თებერვალს პირად საქმეზე მეგობართან შესახვედრად მივიდა ქ. ბათუმში, ჭ.–ის ქუჩაზე მდებარე კაფე „ა.–ში“. იქ ყოფნის პერიოდში მასთან მივიდნენ მოქალაქეები რ. კ. და ს. მ., რომლებმაც ჰკითხეს, თუ როგორ შეიძლებოდა ფართის იჯარის ხელშეკრულების გაფორმება. მან კი უპასუხა, რომ ასეთი სახის ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო იყო იმ ფართის ამონაწერი და რეკვიზიტები საჯარო რეესტრიდან.

3.2 ადვოკატის განმარტებით, ს. მ.–მ და რ. კ.–მ განუცხადეს, რომ ფართი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ადვოკატმა მათ, როგორც მოქალაქეებს და არა როგორც

კლიენტებს, განუმარტა კანონმდებლობიდან გამომდინარე, რომ იჯარის ხელშეკრულების გაფორმებას შეძლებდნენ საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციის შემდეგ.

3.3 ადვოკატის განცხადებით, მას ასევე დაუსვეს შეკითხვა, თუ როგორ შეიძლებოდა ადამიანზე ფულის სესხება ისე, რომ შემდეგ მევალეს მოვალის მიმართ დაეყენებინა მოთხოვნა სესხად გაცემული ფულის დაბრუნებაზე, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ აღნიშნულის გაკეთება შეიძლებოდა ნოტარიული წესით ან მოვალის ხელწერილით ფულის სესხად აღების თაობაზე.

3.4 ადვოკატის განმარტებით, ამის შემდეგ, საჩივრის ავტორმა ს. მი.–მ, იქვე, ნებაყოფლობით, თავისი ხელით დაუწერა ხელწერილი რ. კ. ამ უკანასკნელისგან სესხის აღების თაობაზე და რ. კ.–მ გადასცა ს. მ.–ს სესხის ხელწერილში მითითებული თანხა.

3.5 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულის შემდეგ მისთვის აღარ მიუმართავთ ს. მ.–სა და რ. კ.–ს და არ ეთანხმება ს. მ.–ს, ვინაიდან მასსა და რ. კ. შორის სესხის ხელშეკრულება არ გაუფორმებია.

3.6 ადვოკატის განმარტებით, როგორც შემდგომში მისთვის ცნობილი გახდა, რ. კ.–სა და ს. მ.–ს შორის ფართის იჯარის ხელშეკრულება არ გაფორმებულა, რის გამოც რ. კ.–ს ვალის დაბრუნების თაობაზე მიუმართავს სასამართლოსთვის, სადაც იგი რაიმე სტატუსით ჩვენების მისაცემად არ დაუბარებიათ.

3.7 ადვოკატის განმარტებით, ს. მ.–ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები ეკუთვნის მის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს; შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს (ამ უკანასკნელებს ადვოკატი არ იცნობს და არც ისინი იცნობენ მას, ისინი არ დასწრებიან შეხვედრას), აქედან გამომდინარე, მათ მიერ მიცემული ახსნა-განმარტებები არის მიკერძოებული და ცილისმწამებლური.

3.8 ადვოკატმა თ. მ.–მ ვერ შეძლო საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დასწრება და 2014 წლის 15 დეკემბერს წერილობით უპასუხა საპროცესო კოლეგიის წევრთა შეკითხვებს. ადვოკატის განმარტებით, ხელწერილი ს. მ.–მ დაწერა დამოუკიდებლად, თავისი ნებით და მას ხელწერილის დაწერასთან შეხება არ ჰქონია.

3.9 ადვოკატის განმარტებით, მისთვის უცნობია რ. კ.–მ დაიქირავა ან ისარგებლა თუ არა ს. მ.–ის ფართით.

3.10 ადვოკატისთვის უცნობია, რა ოდენობის თანხა გადასცა რ. კ.–მ ს. მ.–ს, რადგან დაინახა მხოლოდ ის, რომ რ. კ.–მ გადასცა მას ფული დოლარის სახით, რომელიც გადაითვლა ს. მ.–მ, რის გამოც ადვოკატმა ჩათვალა, რომ სრულად გადასცა თანხა მევალემ. ადვოკატისთვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ რ. კ.–ს მიუმართავს სასამართლოსთვის ს. მ.–სგან ვალის დაბრუნების თაობაზე. მიიღო თუ არა ვალი რ. კ.–მ ს. მ.–საგან ან რა ოდენობით ადვოკატისთვის უცნობია.

III სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. მ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 ს. მ.–მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 29 ოქტომბერს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2014 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.–ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. მ.-მ ს. მ.-სა და რ. კ.-ს ურჩია და დაადებინა ქირავნობის ხელშეკრულება და სესხის ხელწერილი, რომელიც ინახებოდა ადვოკატთან, თუმცა დავის წარმოშობისას ადვოკატმა აღარ გამოაჩინა ქირავნობის ხელშეკრულება და ს. მ.-ს რ. კ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის რჩევით დადებული სესხის ხელწერილით გათვალისწინებული თანხის გადახდა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. მ.-ს მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 საჩივრის ავტორი ს. მ. განმარტავს, რომ ადვოკატი თ. მ. წარმოადგენდა რ. კ.-ის ინტერესებს, ხოლო ადვოკატის განმარტებით მის კლიენტს არც საჩივრის ავტორი და არც რ. კ. წარმოადგენდა. 2014 წლის 09 თებერვალს ადვოკატი იმყოფებოდა კაფეში, როდესაც მხარეები მასთან მივიდნენ გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე შეკითხვებით და მან მხარეებს გაუწია მხოლოდ კონსულტაცია. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი წინადადება განსაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ფარგლებს, რომლის თანახმად,

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი).“ მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებიდან არ დგინდება მხარეებს შორის შეთანხმების არსებობა საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე, ასევე ადვოკატ თ. მ.–ს მიერ კონსულტაციის სანაცვლოდ მხარეებისგან ანაზღაურების მიღება, ადვოკატს ჰქონდა ვალდებულება კვალიფიციური და კეთილსინდისიერი რჩევა მიეცა მხარეებისთვის.

5.4 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა.“ ს. მ.–ს მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.–ის მიერ დაირღვა მისი უფლებები არაკეთილსინდისიერი კონსულტაციისა და ქირავნობის ხელშერულების დაფარვის შედეგად, შესაბამისად კოლეგია უფლებამოსილია იმსჯელოს ს. მ.–ს საჩივარზე.

5.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“. ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები,“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ,,თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.“

5.6 საჩივრის ავტორის განმარტების მიხედვით, ადვოკატმა თ. მ.–მ თავიდან არაკეთილსინდისიერი კონსულტაციის გაწევით, რაც გამოიხატა ქირავნობის ხელშეკრულებასთან ერთად, სესხის ხელწერილის დაწერის საჭიროებაში, ხოლო შემდეგ მხარეთა შორის დავის წარმოშობისას ქირავნობის ხელშეკრულების დამალვით დაარღვია საჩივრის ავტორის უფლებები, რასაც ადასტურებს ს. მ.–ს მიერ წარმოდგენილი მოწმეთა ახსნა-განმარტებები (იხ.მ. ა.–ს, გ. ბ.–ს, ბ. მ.–ს, ზ. მ.–ს, მ. მ.–ს, ვ. ლ.–ს, მ. დ.–ს, ზ. დ.–სა და თ. პ.–ს ნოტარიულად დამოწმებული ახსნა-განმარტებები). ადვოკატი საჩივარში მოყვანილ გარემოებებს განსხვავებულად განმარტავს, კერძოდ ის არ წარმოადგენდა რომელიმე მხარის ადვოკატს, ასევე მას არ მიუღია მონაწილეობა რომელიმე ხელშეკრულების დადებაში, მხარეებს მათ შეკითხვაზე უპასუხა, რომ მევალეს მოვალის მიმართ მოთხოვნის დაყენება სესხად გაცემული ფულის დაბრუნებაზე იმ შემთხვევაში შეეძლო თუ მხარეებს შორის არსებობდა ნოტარიული წესით დადებული სესხის ხელშეკრულება ან მოვალის ხელწერილი ფულის სესხად აღების თაობაზე. ს. მ.–მ ნებაყოფლობით დაწერა ხელწერილი ადვოკატის მონაწილეობის გარეშე და მიიღო თანხა. ხელწერილის შედგენაში ადვოკატის განმარტებით მას არ მიუღია მონაწილეობა. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ როგორც საჩივრის ავტორს,

ასევე ადვოკატ თ. მ.–ს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები განხილვის ეტაპზე წარმოედგინათ მტკიცებულებები. ს. მ.–ს, როგორც საჩივრის ავტორს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ მხარეთა შორის არსებობდა ადვოკატის მონაწილეობით შედგენილი ქირავნობის ხელშეკრულება და სესხის ხელწერილი, რომელიც მხარეებმა შესანახად გადასცეს ადვოკატს. საჩივრის ავტორის მიერ 2014 წლის 29 ოქტომბერს წარმოდგენილი მოწმეთა: მ. ა.–ს, გ. ბ.–ს, ბ. მ.–ს, ზ. მ.–ს, მ. მ.–ს, ვ. ლ.–ს, მ. დ.–ს, ზ. დ.–სა და თ. პ.–ს ახსნა-განმარტებებით არ დგინდება ის გარემოება, რომ მხარეთა შორის ადვოკატის მონაწილეობით დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება და ვალის აღიარების ხელწერილი, ხოლო ქირავნობის ხელშეკრულება გადაეცა ადვოკატს. მოწმის სახით წარმოდგენილ პირთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ ისინი საჩივრის ავტორისა და ადვოკატის შეხვედრას არ დასწრებიან და ამბავი იციან გადმოცემით, ამასთან მოწმეთა განმარტებით ქირავნობის ხელშეკრულება ჰქონდა რ. კ.–ს და არა ადვოკატ თ. მ.–ს.

5.7 საქმის მასალებით დგინდება, რომ 2013 წლის 09 აგვისტოს რ. კ.–მ სხვა ადვოკატების მონაწილეობით მიმართა სარჩელით სასამართლოს ს. მ.–ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის თანხის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ რ. კ.–მ 2013 წლის 01 თებერვალს ს. მ.–ს ასესხა 21 000 აშშ დოლარი, რის თაობაზეც მხარეთა შორის შედგა ხელწერილი. მოპასუხემ ვერ შეძლო თანხის დაბრუნება 2013 წლის 30 მაისისთვის. 2013 წლის 30 დეკემბერს სამოქალაქო დავა მხარეთა შორის დასრულდა მორიგებით. 2013 წლის 30 დეკემბრის მორიგების აქტით მოპასუხე ს. მ.–მ იკისრა ვალდებულება გადაეხადა მოსარჩელისათვის - 10 000 აშშ დოლარი განაწილვადებით 2014 წლის 01 ივნისამდე და მორიგების აქტით განსაზღვრული თანხა მიიღო რ. კ.–მ.

5.8 ეთიკის კომისია, როგორც დისციპლინური დევნის ორგანო აფასებს ადვოკატის ქცევას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა–განმარტებებით არ დგინდება ადვოკატ თ. მ.–ს მიერ ს. მ.–სათვის არაკეთილსინდისიერი და არაკვალიფიციური რჩევის მიცემა, ასევე ადვოკატის მონაწილეობით ქირავნობის ხელშეკრულებისა და სესხის ხელწერილის დადება. საქმეში წარმოდგენილი სესხის ხელწერილი შედგენილია თავად ს. მ.–ს მიერ და მას ხელს მხოლოდ ს. მ. აწერს.

5.9 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადგილი არ აქვს ადვოკატ თ. მ.–ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის ნიშნებს და ადვოკატ თ. მ.–ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №084/14 ადვოკატ თ. მ.–ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/